ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის (მეორე სამიზნე ჯგუფი) ევროპის 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://www.unibo.it/WEBB/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ დოკუმენტი არ არის ინგლისურ ენაზე)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმდინარე სემესტრში ჩაბარებული მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ). ტესტი არ ეხებათ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს, რომელთა სამუშაო ენა არის ინგლისური (ან შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სხვა ენა: გერმანული, იტალიური და ა.შ) და თუ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლიათ. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
სამუშაო გეგმა	უნდა შეიცავდეს დაგეგმილი ტრენინგის, სწავლების, კვლევის ან/და თანამშრომლობის აქტივობებს (1500-2000 სიტყვა)
მოტივაციის წერილი	განმარტეთ, როგორ აირჩიეთ მასპინძელი უნივერსიტეტი, რა გავლენას მოახდენს თქვენი მობილობა მშობლიურ უნივერსიტეტზე, მოსალოდნელი თანამშრომლობის შესაძლებლობები (ინგლისურ ენაზე)
მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტისგან	დასტური, რომ მშობლიურ უნივერსიტეტს აქვს აკადემიური ინტერესი ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებით და დაბრუნების შემდეგ მოახდენს თქვენს ინტეგრირებას

დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან (თუ სავალდებულოა თქვენი სასურველი უნივერსიტეტისთვის)	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევითი განყოფილების, ფაკულტეტის, მიმართულების, ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის წერილი, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის (შერჩევის შემთხვევაში)
CV	იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 1; EN, IT, DE, FR)
რეკომენდაციის წერილი	თსუ-ს მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
განცხადება განმეორებით ერასმუსის სტიპენდიის მიღებაზე	იხილეთ ნიმუში (დანართი 2)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ბოლონიის უნივერსიტეტი, იტალია
2. კა-ფოსკარის უნივერსიტეტი, ვენეცია, იტალია
3. პავიას უნივერსიტეტი, იტალია
4. კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
5. გენტის უნივერსიტეტი, ბელგია
6. ლაიპციგის უნივერსიტეტი, გერმანია
7. ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი
8. ტურკუს უნივერსიტეტი, ფინეთი
9. პოიტიერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
10. ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://www.unibo.it/WEBB/Destinations/default.htm
მობილობის პერიოდი: 2013/2014 – 2014-2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 1-დან 3 თვემდე
სტიპენდია მოიცავს 2500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2013 წლის 15 იანვარი
დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge